585/1963/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 27 (224) 30 სექტემბერი 1963 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

416. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

განყოფილება მეორე

417. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. კალნბერზინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

418. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ფ. კლიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

419. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ი. გორსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

90 49.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა კვიპროსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. გეორგიადესმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ყარაჯოვმა.

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

420. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ღვინჭილიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

421. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ზ. ფორჩაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განკოფილება მეორე

422. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

416 ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „დ" პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლა, რაც განხორციელდა ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით: 1962 წლის 20 სექტემბრისა—„ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკეთის სს რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ" და 1963 წლის 26 იანვრისა — „ყაზახეთის სსრ აღმოსავლეთ-ყაზახეთის მხარის ტერიტორიის ნაწილის უზბეკეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ" და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით: 1963 წლის 28 იანვრისა — „იმის შესახებ, რომ ყაზახეთის სსრ სამხრეთ-ყაზახეთის მხარის ტერიტორიის ნაწილი შევიდეს უზბეკეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში" და 1963 წლის 25 მაისისა—„უზბეკეთის სს რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკას შორის რესპუბლიკური საზღვრის ნაწილობრივი შეცვლისა და დაზუსტებული აღწერილობის შესახებ". საზღვრის აღწერილობა თან ერთვის*).

ეს ბრძანებულება შეტანილი იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 სექტემბერი.
№ 1706-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

417 ამხ. ი. ე. კალნგერზინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. იან ედუარდის ძე **კალნ-**

---

*). თან ერთვის ბრძანებულების დედანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერზინს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 სექტემბერი.
№ 1684-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

418 ამხ. ი. ფ. კლიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივანე ფროლის ძე **კლიმოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 სექტემბერი.
№ 1688-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

419 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ი. გორსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გეოლოგიის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე ივანეს ძე **გორსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 სექტემბერი.
№ 1689-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა კვიპროსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. გეორგიადესმა

ა. წ. 20 სექტემბერს, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. პალეცკისმა მიიღო კვიპროსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლეფკოს გეორგიადესი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდა საელჩოს ატაშე რ. ტევფიკი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. ლიხაჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ი. პალეცკისი ესაუბრა ლ. გეორგიადესს. საუბარს ესწრებოდნენ ნ. პ. ფირიუბინი და კ. უ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ი. პალეცკისს რწმუნების სიგელები გადასცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ყარაჯოვმა

ა. წ. 21 სექტემბერს, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. პალეცკისმა მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სტოიან ყარაჯოვი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩევლები მ. ნ. მლადენოვი, ნ. ხ. მალეევი, დ. რუსენოვი, სავაჭრო მრჩეველი ი. პ. ნედევი, სამხედრო ატაშე გენერალ-ლეიტენანტი ზ. ს. ზახარიევი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოადგილეები ვ. ა. ლიხაჩოვი და მ. ე. პოზოლოტინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ი. პალეცკისსა და ს. ყარაჯოვს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარს ესწრებოდნენ ნ. პ. ფირიუბინი და კ. უ. ჩერნენკო.

საინფორმაციო ცნობა

ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თევზჭერის თაობაზე კონვენციის შესახებ

სურთ რა უზრუნველყონ თევზის მარაგის შენარჩუნება და თევზრეწვის რაციონალური წარმოება ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და მოსაზღვრე წყლებში, რაც წარმოადგენს საერთო ინტერესს, მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოებმა* 1959 წლის 24 იანვარს ლონდონში დადეს მრავალმხრივი კონვენცია ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თევზჭერის შესახებ.

კონვენცია რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 18 აგვისტოს.

1963 წლის 27 ივნისს კონვენცია ძალაში შევიდა.

კონვენცია გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 38, 1963 წლის 18 სექტემბერი).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

სომხეთის სსრ

გუკასიანის სასოფლო რაიონის დაწვრილერთეულება

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით დაწვრილერთეულებულია გუკასიანის სასოფლო რაიონი და მის ტერიტორიაზე შექმნილია **გუკასიანის** სასოფლო რაიონი ცენტრით სოფელ **გუკასიანში** და **ამასიას** სასოფლო რაიონი ცენტრით სოფელ **ამასიაში**.

ნაწილი II

გაანყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

420 ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ ბაგრატის ძე **ღვინჯილია** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 19 სექტემბერი.

---

*. იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1963 წ., № 38, გვ. 955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

421 ამხ. ვ. ზ. თოხაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ ზაქარიას ძე **თოხაძე** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 19 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

422 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლისა:

1. ალექსანდრე დავითის ძე **ავალიანს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

2. შალვა ვლადიმერის ძე **ბოჭორიშვილს** — ახალციხის რაიონის სოფელ ლელოვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

3. ელენე მელიტონის ასულ **გაბიანს** — ლენტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

4. გიორგი ზაქარიას ძე **გაბიტაშვილს** — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

5. დავით ვასილის ძე **გაბუნიას** — თბილისის სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის სკოლის მასწავლებელს.

6. ნინო ალექსანდრეს ასულ **გამცემლიძეს** — პენსიონერს.

7. მიხეილ პავლეს ძე **გაწერელიას** — პენსიონერს.

8. ვენერა სამსონის ასულ **გვარმიანს** — მესტიის რაიონის სოფელ ჭუბარის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

9. ალექსანდრე არკადის ძე **გედევანიშვილს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

10. ქეთევან ნიკოლოზის ასულ **გედევანიშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის ფეხსაცმლის საწარმოების გაერთიანება „ისანის“ საბავშვო ბაღის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გიორგი მიხეილის ძე **გიგინეიშვილს** — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

12. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **გობეჩიას** — ცხაკაიას რაიონის დაბა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

13. შალვა სპირიდონის ძე **გოგსაძეს** — თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

14. ვერა ბესარიონის ასულ **გოგიაშვილს** — პენსიონერს.

15. შალვა თადეოზის ძე **გურგენიძეს** — პენსიონერს.

16. გრიგოლ იოსების ძე **დვალს** — პენსიონერს.

17. გაბრიელ სერაფიონის ძე **დოლიძეს** — მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

18. თამარ ვასილის ასულ **ვაჩეიშვილს** — პენსიონერს.

19. პავლე ერმალოზის ძე **ვეფხვაძეს** — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს.

20. ტასო ერმილეს ასულ **თოხაძეს** — პენსიონერს.

21. ვლადიმერ იოსების ძე **თუშურაშვილს** — ქ. რუსთავის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

22. ვარდო ანტონის ასულ **ილდანს** — მესტიის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

23. გიორგი დავითის ძე **ილურიძეს** — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.

24. თამარ ზაქარიას ასულ **იმერლიშვილს** — თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლის მასწავლებელს.

25. მიხეილ ნიკოლოზის ძე **იმნაძეს** — თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დირექტორს.

26. იერემია საჩინოს ძე **კაპანაძეს** — ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

27. კალისტრატე არქიფოს ძე **კაპანაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის შორაპნის № 8 საშუალო სკოლის დირექტორს.

28. პროკოფი თომას ძე **კარანაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის № 17 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

29. ვასილ გიორგის ძე **კახნიაშვილს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლის დირექტორს.

30. ვარლამ ივანეს ძე **კენჭაძეს** — ცაგერის რაიონის სოფელ ორხევის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

31. ეკატერინე გიორგის ასულ **კვაჭანტირაძე-ქერქაძეს** — თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლის მასწავლებელს.

32. ვარლამ სამსონის ძე **კობახიძეს** — პენსიონერს.

33. ეთერ ანდრიას ასულ **კობიაშვილს** — ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის განყოფილების გამგეს.

34. ნინო ვასილის ასულ **კოჭლამაზაშვილს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

35. ვარლამ კონსტანტინეს ძე **ლეკვეიშვილს** — სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

36. მიხეილ ზაქარიას ძე **ლეკიშვილს** — ქ. თელავის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

37. ვლადიმერ ნესტორის ძე **მაღლაკელიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეს.

38. იაკობ ალექსის ძე **მარგიანს** — მესტიის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

39. იოსებ დარისპანის ძე **მაჭავარიანს** — მახარაძის რაიონის სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

40. ანდრო ბესარიონის ძე **მახარაძეს** — გორის რაიონის სოფელ სასირეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

41. დავით რომანოზის ძე **მეგრელიძეს** — თბილისის 103-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

42. თამარ დიმიტრის ასულ **მეტრეველს** — პენსიონერს.

43. ისმაილ ალექსანდრეს ძე **მინდიაშვილს** — წყალტუბოს რაიონის სოფელ გურნის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

44. სოფიო კონსტანტინეს ასულ **მირიანაშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.

45. ვალერიან დარისპანის ძე **მუმლაძეს** — საჩხერის რაიონის სოფელ მანდაეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

46. გრიგოლ გიორგის ძე **ნანეიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

47. იონა ალექსანდრეს ძე **ნიკოლაიშვილს** — პენსიონერს.

48. გევორქ ბახშოს ძე **ოგანესიანს** — ახალქალაქის რაიონის სოფელ კონდურის საშუალო სკოლის დირექტორს.

49. ლევან გიორგის ძე **ოდიკაძეს** — პენსიონერს.

50. დავით გრიგოლის ძე **პირველს** — ლენტეხის რაიონის სოფელ შელეურის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

51. მიხეილ ვალარშაკის ძე **ფილოსიანს** — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ აიაზმის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

52. მიხეილ ლევანის ძე **უვანიას** — ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

53. ვალერიან ლუკას ძე **როყვას** — მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

54. მიხეილ ფარნაოზის ძე **რუხაძეს** — სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

55. კარპე სიმონის ძე **სამყურაშვილს** — ქ. ჭიათურის № 1 საშუალო სკოლის დირექტორს.

56. მანია ზურაბის ასულ **სამჭკუაშვილს** — გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. თევდორე იოსების ძე **სანაკოევს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფელ ტონტობეთის დაწყებითი სკოლის გამგეს.

58. თინათინ სტეფანეს ასულ **სარიშვილს** — ფოთის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს.

59. ევგენია იაკობის ასულ **სარქისოვას** — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის მუსიკალური სკოლის პედაგოგს.

60. ლავრენტი მურზას ძე **სეკანიას** — აფხაზეთის ასსრ გალის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

61. კონსტანტინე ონისიმეს ძე **სვანიძეს** — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

62. სარქის პეტროსის ძე **სიმავორიანს** — ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტანის საშუალო სკოლის დირექტორს.

63. დავით გრიგოლის ძე **ტეფნაძეს** — ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის საშუალო სკოლის დირექტორს.

64. ვალერიან მიხეილის ძე **უჩანეიშვილს** — ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

65. კლიმენტი რაჟდენის ძე **ფანცულაიას** — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორს.

66. ივანე სოლომონის ძე **ფარქოსაძეს** — საჩხერის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

67. აკაკი მიხეილის ძე **ფარცვანიას** — აფხაზეთის ასსრ ქ. გაგრის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

68. გრიგოლ სტეფანეს ძე **ფიცხელაურს** — ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორს.

69. აკაკი მელიტონის ძე **ფრუიძეს** — ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს საშუალო სკოლის დირექტორს.

70. ბაქო მაკარის ძე **ფრუიძეს** — თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

71. აკაკი არსენის ძე **ქავთარაძეს** — მახარაძის რუსული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

72. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **ქამუშაძეს** — საჩხერის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.

73. მარიამ არონის ასულ **შანდიბინას** — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის მუსიკალური სკოლის პედაგოგს.

74. კარლო მიხეილის ძე **შარაშიძეს** — მახარაძის რაიონის სოფელ ბუკისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

75. რუბენ საბას ძე **შენგელიას** — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

76. მარიამ გიორგის ასულ **შიხაშვილს** — სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

77. ვარლამ გიორგის ძე **ჩიქოვანს** — ქ. ფოთის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. ქსენია ირაკლის ასულ **ჩიჩუას** — პენსიონერს.

79. ვასილ ისაიას ძე **ჩოგოვაძეს** — ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორს.

80. ილია ივანეს ძე **ჩხენკელს** — სამტრედიის რაიონის ქ. წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

81. ვასილ გიორგის ძე **ძველაიას** — ქ. გორის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

82. სიმონ ხარიტონის ძე **ჭელიძეს** — განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გარდაბნის რაიკომის თავმჯდომარეს.

83. თეოფილე ნესტორის ძე **ჭიჭინაძეს** — ამბროლაურის რაიონის ქ. ონის მეორე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

84. ეგნატე ყაისარის ძე **ჭყონიას** — დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

85. ფლორენცია მიხეილის ასულ **ჭყონიას** — პენსიონერს.

86. სამედ რასუმ ოღლი **ხალილოვს** — ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დირექტორს.

87. პავლე გიორგის ძე **ხმალაძეს** — ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

88. ევგენია ნიკოლოზის ასულ **ხუბულურს** — ქ. დუშეთის საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

89. სპირიდონ ტაიას ძე **ხუბუტიას** — პენსიონერს.

90. გიორგი სესეს ძე **ჯიოევს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლისა:

1. რაჟდენ იოსების ძე **გობრონიძეს** — ქ. თბილისის № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

2. გიორგი მელიტონის ძე **ქავთარაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის საღგურ სამტრედიის ტექნიკური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ჯოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 17 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მიმდინარე წლის 13 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეების და მდივნების თათბირი.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ზ. ა. კვაჭაძის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მდივნებისა და საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებათა გამგეების თათბირის შედეგებისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ამოცანების შესახებ.

ინფორმაციის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. მჭედლიშვილმა, საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ვაშაკიძემ, მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ხვედელიანმა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა თ. ბელტიხინმა და სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ხომიზურაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ორგანოების გარდაქმნამ საწარმოო პრინციპის მიხედვით, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა, ხელი შეუწყო ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაცხოველებას. ისინი ახლა უკეთ განაგებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შემდგომ გაძლიერდეს და მრავალფეროვანი გახდეს კომისიების საქმიანობა, მეტი დახმარება გაეწიოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში, გაუმჯობესდეს საბჭოების მუშაკთა და აქტივის აღზრდა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამა წლის 17 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომას, გარდა კომისიის წევრებისა, დაესწრნენ: ბათუმის, თელავის, ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ზ. ვარშანიძე, გ. ხუციშვილი, უ. სხირტლაძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაატაშვილი, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი მ. მღებრიშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მ. მაღრაძე, საკურორტო სამმართველოს უფროსი პ. ჩიკვილაძე, საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ა. ლომინაძე და სხვები, სულ 23 კაცი.

კომისიამ განიხილა ქალაქებში ბათუმში, თელავში, ქობულეთსა და ჭიათურაში საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საკითხი. მოხსენება გააკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ვაშაკიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. პაატაშვილმა, მ. მაღრაძემ, ზ. ვარშანიძემ, უ. სხირტლაძემ, პ. ჩიკვილაძემ, მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ა. ვარდოშვილმა, ვ. გოცირიძემ, ზ. ჯაფარიძემ, ზ. პატარიძემ და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ბათუმის, თელავის, ქობულეთისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობის ნაკლოვანებანი საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საკითხში.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ საკითხი შეტანილი იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

*
* *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ კურორტებზე დამსვენებელთა სავაჭრო მომსახურებისა და ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლების შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. წინამძღვრიშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ რ. ელიგულაშვილმა, ტრესტ „საქპურკონდიტერის“ მმართველმა ი. წიკლაურმა, აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა გ. მესხიძემ, აფხაზეთის კურორტვაჭრობის დირექტორმა ნ. კობახიამ, ბორჯომის კურორტვაჭრობის მმართველმა გ. გიგიტაშვილმა, „საქბაკალეის“ რესპუბლიკური კონტორის მმართველმა ნ. მაისურაძემ, ტრესტ „საქმინხილწყლების“ მმართველის მოადგილემ ლ. მუჯირმა და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მკვეთრად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ კურორტებზე დამსვენებელთა სავაჭრო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა თ. ბელტიხინმა.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ მოხსენებითი ბარათი და მასთან დართული მონაკვლევი მასალები ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს.